I კლასი
მიმოხილვა, ფინალი

ტესტის **ჯამური ქულაა 100**. ტესტი შედგება **2 სავარჯიშოსგან** და სულ მოიცავს **30 არჩევითპასუხიან დავალებას**. თითოეულ კითხვას აქვს განსაზღვრული ქულა. დავალებები ამოწმებს მოსწავლის **დაკვირვების, სურათის გააზრების, ანბანის ცოდნის, სიტყვათა ამოცნობისა და ელემენტარული ენობრივი უნარების** დონეს. ტესტი შედგენილია პირველკლასელთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით და მიზნად ისახავს მოსწავლეთა საწყისი კითხვისა და ლექსიკური უნარების შეფასებას.

I სავარჯიშო – სურათის გააზრება

საკითხების **რაოდენობა:** 10
თითოეული საკითხის ქულა: 4 ქულა
სავარჯიშოს ჯამური ქულა: 40 ქულა

პირველი სავარჯიშო ეფუძნება სურათზე დაკვირვებასა და მის გააზრებას. მოსწავლეს ეძლევა ილუსტრაცია, რომელზეც გამოსახულია სხვადასხვა პერსონაჟი, საგანი და გარემო. მოსწავლე უნდა დააკვირდეს სურათს და უპასუხოს კითხვებს.

დავალებები ამოწმებს, რამდენად შეუძლია მოსწავლეს საგნების, ცხოველების, ტანსაცმლის, ფერების, ამინდისა და გარემოს დეტალების ამოცნობა. მოსწავლემ უნდა შეძლოს სურათში მოცემული ინფორმაციის სწორად აღქმა და შესაბამისი პასუხის არჩევა.

II სავარჯიშო – სიტყვები და მათი დანიშნულება

საკითხების რაოდენობა: 20
თითოეული საკითხის ქულა: 3 ქულა
სავარჯიშოს ჯამური ქულა: 60 ქულა

მეორე სავარჯიშო ამოწმებს ანბანის ცოდნას, სიტყვების ამოცნობასა და მათი მნიშვნელობის გაგებას. დავალებები მოიცავს ასოების ამოცნობას, სიტყვების სწორად დაწერას, სიტყვების მნიშვნელობებსა და მათ დაჯგუფებას.

მოსწავლემ უნდა შეძლოს განსაზღვროს, რომელი სიტყვა იწყება კონკრეტული ასოთი, რომელ სიტყვაში გვხვდება მითითებული ბგერა და რომელი სიტყვაა სწორად დაწერილი..

ამ ნაწილში ასევე წარმოდგენილია დავალებები სიტყვების დამარცვლასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვებს გარემოს შესახებ — ცხოველები, მცენარეები, ბუნება, ხილი, ბოსტნეული და სხვადასხვა საგანი.

მაგალითი:
რომელი სიტყვა იწყება „ბ“-თი?

ა) ხე **ბ) ბაღი** გ) მელა დ) ია

მაგალითი:
რომელია სწორად დაწერილი სიტყვა?

ა) სხოლა **ბ) სკოლა** გ) სქოლა დ) სკოლლა

მაგალითი:

რომელი სიტყვაა სწორად დამარცვლილი?

ა) ბა-ღი ბ) ბაღ-ი გ) ბ-აღი დ) ბაღი-